

კორპორაციული კულტურის მნიშვნელობა

ორგანიზაციის მართვის საქმეში

დაჩი ფოჩხუა

ნათია რუსეიშვილი

მედეა თოდუა

ჯგუფი #17

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე მენეჯმენტის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლოლიტა შენგელია, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

სხვადასხვა კვლევებიდან და ლიტერატურული მასალებიდან ირკვევა, რომ ძლიერი კორპორაციული კულტურა და ორგანიზაციული ქცევა, გავლენას ახდენს ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობაზე.

საქართველო კაპიტალისტური მართვის მოდელზე არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადავიდა, ქვეყანაში შექნილი რთული, კრიზისული ვითარების შემდგომ, მიღწეული ეკონომიკური წარმატებების კვალდაკვალ, ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვეგო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართულ ბაზარზე მყოფი ბიზნეს ორგანიზაციებისთვის კორპორაციული კულტურა

კვლევის ფარგლებში „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მაგალითზე შევეცადეთ გვეკვლია კომპანიაში არსებული კორპორაციული კულტურა, მისი გავლენა ორგანიზაციის შიდა და გარე ურთიერთობებზე, კავშირი კომპანიის წარმატებულ საქმიანობასა და კორპორაციულ კულტურას შორის.

2013 წლის მონაცემებით „ჯიპიაი ჰოლდინგი“ სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მის 23%-ს აკონტროლებდა. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ დღემდე ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს, როგორც მოზიდული პრემიების ოდენობით, ასევე სადაზღვევო პოლისების რაოდენობით და სხვა მონაცემებით.

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივმა გამოყენებამ, საშუალება მოგვცა უფრო სრულად დაგვეჩინა საკითხი, რომლის შესწავლასაც ვგეგმავდით.

პირველადი ინფორმაცია შეგროვდა, „ჯიპიაი ჰოლდინგის“ გაყიდვების აგენტებისა და მენეჯერების ანკეტირების სახის გამოკითხვის ჩატარების საფუძველზე. გამოკითხვაში ჯამში მონაწილეობა მიიღო 130-მა თანამშრომელმა. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, სიღრმისეული ინტერვიუები სტრუქტურირებული კითხვარების დახმარებით ჩატარდა, „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ტოპ-მენეჯერებთან და მენეჯერებთან.

„ჯიპიაი ჰოლდინგის“ კორპორაციული კულტურა ეფუძნება კომპანიის 4 ღირებულებას, ესენია: თანადგომა , სამართლიანობა, პროფესიონალიზმი და პროგრესი.

იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ „ჯიპიაი ჰოლდინგს“ საკმაოდ ძლიერი კორპორაციული კულტურა აქვს, რომელიც ასახულია კომპანიის წარმატებულ მოღვაწეობაზე, არ დგას მისი შეცვლის საჭიროება. თუმცა, კორპორაციული კულტურა საჭიროებს კონტროლსა და მონიტორინგს იმისათვის, რომ შეინარჩუნონ სასურველი სახე და სიძლიერე, რისთვისაც საჭიროა ინოვაციები, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიის განვითარებას.

კვლევიდან ჩანს, რომ კომპანიაში ბოლო დროს განხორციელებული მკვეთრი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს ერთდროულად დიდი რაოდენობით კადრების აყვანას, კომპანიის მენეჯმენტი უნდა ეცადოს მაქსიმალურად სწორი პოლიტიკის გატარებას, არსებული კორპორაციული კულტურის შენარჩუნებისა და დახვეწისათვის. ორგანიზაციული კულტურა არ არის ცალკე მგდომი, მას არ შეუძლია იარსებოს იზოლირებულად და თავის ჩამოყალიბების პროცესში, ზეგავლენას განიცდის ეროვნული კულტურის და საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების მხრიდან, რომელშიც მას უხდება ფუნქციონირება. კომპანიამ მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება ახალ თაობაში არსებულ ფასეულობებთან და თავისი კორპორაციული კულტურის ადაპტირება/მორგება მოახდინოს დამკვიდრებულ რეალობასთან, რადგან კომპანიაში ძირითადი ადამიანური რესურსი, რომლის დენადობის მაჩვენებელი საერთო ჯამში დღესდღეობით არცთუ ისე დიდია, მეტწილად ახალგაზრდებზე მოდის და ეს მომენტი საჭიროებს უფრო ღრმად შესწავლას.

## Abstract

According to past studies and organizational behavior affects the successful performance of the organization. Considering that Several years ago Georgia has moved to capital management model and has met some of the country's economic success. For us it was interesting to find out how important is the business market. In the research we tried to study the company's corporate culture on "GPIH" example and its impact on the organization's internal and external relationships, the connection between the company's success and corporate culture.

In 2013 GPI Holding holds a leading position in the market, according to the National Bank of Georgia official data. Among the 14 insurance companies operating in the country GPI Holding has 23% market share with the highest level of premium written. Of the State Insurance Supervision Service, GPI is still one of the leading position among the insurance amount and number of insurance policies and other data.

Qualitative and quantitative methods made us more fully information about the planned study.

The primary information collected from the GPI sales agents and managers, face questionnaire survey basis. 130 employees took part in the poll. In-depth interviews were conducted with structured questionnaires to get more detailed information. With GPI Holding top managers and managers.

GPI corporate culture is based on the company's 4 value: support, fairness, professionalism and progress.

Based on the fact that GPI Holding has a strong corporate culture that reflects the company's successful activities, there is no need to change it. However, corporate culture requires control and monitoring in order to maintain the desired face and strength, for which innovations are needed to support the development of the company.

The research shows that, due to the recent drastic change in the company, which implies a large number of recruits simultaneously, the management of the company should try to make the right policy to maintain and improve existing corporate culture. Organizational

culture is not separate, it can't exist in isolation and in the process of its establishment is influenced by the values of national culture and values in the society in which it functions. The company should focus more on the values of the new generation and adapt its corporate culture to the established reality, as the main human resource in the company which's employment rate of outflow is high are students, and this moment requires more profound study.